საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 8 07/03/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის # 62 განკარგულებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგებლობების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდესის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63–ე მუხლის საფუძველზე
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის # 62 განკარგულებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგებლობების დამტკიცების შესახებ“

1. შეტანილ იქნეს ცვლილება განკარგულების მე-4 პუნქტში და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასრტუქტურის საკითხების კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს საკრებულოს წევრი ქეთევან ზუმბაძე , კომისიის შემადგენლობა დამტკიცდეს თანდართული სიის შესაბამისად (სია თან ერთვის).

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე